



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ბიზნესი ადმინისტრირება, დოქტორანტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი 12.11.2021

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #5 09.01.2019 წ.

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
--	---

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	<b>უნივერსიტეტი, საქართველო</b>
<b>წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)</b>	<b>ნათია დაღელიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო</b>

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ 09.01.2019, #5 გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების მომენტში, აკრედიტაციის საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, განხორციელებულიყო მასზე მონიტორინგი და გადამოწმებულიყო და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სადოქტორო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირების“ განკუთვნილია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამას, რომელიც კურსდამთავრებულებს ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიურ ხარისხს სასწავლო კომპონენტის (50 კრედიტი) და კვლევითი კომპონენტის შესრულების შემთხვევაში. სრული სადოქტორო კურსის მოცულობა შეადგენს 180 კრედიტს. აქედან 50 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა 3 წელი (ექვსი სემესტრი).

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა, რომელსაც თან ახლდა პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში წარმოდგენილი თვიშეფასების ფორმით შემოწმდა დეტალურად. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოყენებული იქნა ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული მასალები.

ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 8 21 0000970220, 23.09.2021 თანახმად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე), ნათია დაღელიშვილი (წევრი).

### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ

- **პირველი სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან
- **მეორე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა 2.5 კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **მესამე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 3.2 კომპონენტი არ შეფასდა.
- **მეოთხე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; არ შეფასდა 4.2, 4.3, 4.4 კომპონენტები.
- **მეხუთე სტანდარტი** - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; 5.3 კომპონენტი არ შეფასდა.

არ შეფასდა შემდეგი კომპონენტები: 3.1, 4.2, 4.3, 4.4 და 5.3.

#### ▪ რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია ბოლომდე იქნეს გათვალისწინებული რეკომენდაცია „მოხდეს სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია“;

#### ▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### ▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

#### ▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- დაიხვეწა და გაუმჯობესდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანი, რომელიც ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია.
- გაუმჯობესდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, თუმცა, დაწესებულებამ უნდა შეიმუშავოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგებისათვის სამიზნე ნიშნულები.
- გაუმჯობესდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ბიზნესის სფეროს საგნების დამატებით.
- გაუმჯობესდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა არჩევითი საგნების დამატებით და თემატური სემინარების შემუშავებით.
- დაწესებულებამ გააძლიერა მუშაობა დოქტორანტებთან მათი კონფერენციებში ჩართვის მიზნით.
- დაწესებულებამ გააძლიერა მუშაობა საერთაშორისო მეცნიერების და აკადემიური პერსონალის მოწვევის მიზნით. ამ მხრივ შემჩნევა პროგრესი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაწესებულებამ მოიწვია რამდენიმე საერთაშორისო მეცნიერი.



# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: „დააკონკრეტეთ პროგრამის ამოცანები და სწავლის შედეგები ისე, რომ მკაფიოდ ჩანდეს პროგრამის მიზანი და შესაბამისი იყოს პროგრამის შინაარსთან“.

აღნიშნული რეკომენდაცია შესრულდა. დაიხვეწა პროგრამის მიზანი, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანია „ბიზნესის სფეროში თანამედროვე მეცნიერული მიღწევების შესწავლა და შემდგომი განვითარება. საერთაშორისო დონის აქტუალური პროცესების და მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაზე ორიენტირებული, უახლოეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მქონე, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი მკვლევარების მომზადება, ინოვაციური მეთოდების შემუშავების, სამეცნიერო კვლევითი პროცესების წარმართვისა და პედაგოგიური, სამეცნიერო მოღვაწეობისათვის“.

პროგრამის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. ვინაიდან უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი რესურსები პროგრამით დასახული მიზნის მიღწევისათვის.

პროგრამის მიზნის ჩამოყალიბებისას დაწესებულებამ ხელმძღვანელობდა შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით. კერძოდ, დაწესებულებამ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა, რომლის მიზანი იყო შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნების შესწავლა, მათი თვალთ დასახული და პრაქტიკული გამოცდილებით შეფასებული თანამედროვე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებისა და ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი კრიტერიუმების განსაზღვრა.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- შრომის ბაზრის კვლევის შედეგები

### რეკომენდაციები:

-

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- დაიხვეწა და გაუმჯობესდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მიზანი, რომელიც ნათლად არის ჩამოყალიბებული და მირწევადია.

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ამ კომპონენტის ფარგლებში განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების აღწერა, რათა გახდეს იგი უფრო სპეციფიური კონკრეტული (სადოქტორო) პროგრამისათვის.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამისათვის ჩამოყალიბებულია 12 სწავლის შედეგი, რომელიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს. თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: ცოდნა-გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი და ღირებულებები, მაშინ როდესაც ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით, უნარით „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ აღწერილ განზოგადებულ სწავლის შედეგებს. აქედან გამომდინარე სწავლის შედეგების ფორმულირება უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული პრინციპით. აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ არის შესრულებული.

- მოხდეს შედეგების შეფასების სისტემის ოფიციალური ამოქმედება, მასზე მუშაობის არსებითი მტკიცებულებების უზრუნველყოფით.

დაწესებულებამ შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს და შესაბამის ინსტრუმენტებს.

- ჩამოყალიბდეს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა, სადაც გამოჩნდება, რომ მიზნები დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან;

როგორც უკვე აღვნიშნეთ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაში მოცემულია პროგრამის სწავლის მიზანი, სწავლის შედეგები და სტრუქტურა. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში ვკითხულობთ „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაში „ბიზნესის ადმინისტრირება“ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მიხედვით ნათლად ჩამოყალიბდა სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდა სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს“. სწავლის შედეგების შეფასების მიზნით დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულების დოკუმენტები. სწავლის შედეგების რუკაზე მოცემულია სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს და სწავლის შედეგებსა და პროგრამის მიზნებს შორის მიმართება. ასევე განსაზღვრულია სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლი და პროცესების თანმიმდევრობა.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში შეფასებულია სტუდენტების აკადემიური მოსწრება გაუსის განაწილების მიხედვით თითოეული სასწავლო კურსისათვის. ასევე, ამავე ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას“.

- პროგრამას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რაც შესაძლებლობას მისცემს სასწავლო პროცესს, რომ მიაღწიოს სწავლის შედეგებს;

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (როგორ უნდა განხორციელდეს სწავლის შედეგების შეფასება) და პროცესების თანმიმდევრობა. აღნიშნული თანმიმდევრობა გაწერილია დროში.

- პროგრამამ უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის, რომლებიც დაწესებულებას უზრუნველყოფს ეფექტური მონიტორინგით და მოგვიანებით გამოიყენება პროგრამის მუშაობის გასაუმჯობესებლად

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ანგარიშში მითითებულია, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგინდა სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევენ სტუდენტები თითოეულ სწავლის შედეგს“.



ზემოთ მოცემული ანალიზიდან აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- გაუმჯობესდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შემუშავდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის	✓			

შესაბამისობა				
--------------	--	--	--	--

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც დაწესებულებაში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს. ასევე უნდა წარადგინოს ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ს საგამოცდო ცენტრში. აპლიკანტს, რომელსაც გავლილი აქვს ინგლისურენოვანი პროგრამა სერთიფიკატის წარდგენა ან გამოცდის ჩაბარება არ მოეტხოვება.
დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა</li> <li>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <a href="https://gtu.gelScience/Doctorate Department.php">https://gtu.gelScience/Doctorate Department.php</a></li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>

## შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია: „გაზარდეთ არჩევითი კურსების რაოდენობა“.**

აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია 6 არჩევითი კურსი. კერძოდ, თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები, რეგიონის მდგრადი განვითარება, კვლევა საერთაშორისო ფინანსებში, ინტელექტუალური და კრეატიული მართვა, ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტის პრობლემატიკა.

რეკომენდაცია შესრულებულია.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

### რეკომენდაციები:

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-

## შეფასება

○

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ამ კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

**შესთავაზეთ კურსები ბიზნესის მართვის სფეროდან, როგორც არჩევითი კურსები;**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი 50 კრედიტს მოიცავს. აქედან, 45 კრედიტი არის სავალდებულო დისციპლინები, ხოლო 5 კრედიტი არჩევითი. პროგრამის ფარგლებში 6 არჩევითი საგანია შეთავაზებული. აქედან 5 სასწავლო კურსი მიეკუთვნება ბიზნესის სფეროს.

**შეიმუშავეთ სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის „თემატური სემინარები 1 და 2“.**

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სავალდებულო დისციპლინების კომპონენტს დაემატა სასწავლო კურსი „თემატური სემინარი“ 10 კრედიტის მოცულობით.

რეკომენდაცია შესრულებულია.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;

## რეკომენდაციები:

## რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ გაუმჯობესდა ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა არჩევითი საგნების დამატებით და თემატური სემინარების შემუშავებით.

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა პროექტებსა და კონფერენციებში, მაგ; ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო ან შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებით სხვა უნივერსიტეტებთან ერთად;**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარისში ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“, სადაც საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სტუდენტები და კურსდამტავრებულები, აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან თანაავტორობით, აქტიურ მონაწილეობას იღებენ.

„სტუ-ში ასევე ტარდება სტუდენტური ღია საერთაშორისო კონფერენცია. საგანმანათლებლო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ სტუდენტები იღებენ მონაწილეობას ERASMUS+ ფარგლებში გაცვლით პროგრამებში“.

ზემო აღნიშნულის შესახებ დასტურდება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული ინფორმაციით <https://gtu.ge/News/12431>

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

<ul style="list-style-type: none"> <li>○ ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა</li> <li>○ სტუ-ს ბმული: <a href="https://gtu.ge/News/12431">https://gtu.ge/News/12431</a></li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
○
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
○ დაწესებულებამ გააძლიერა მუშაობა დოქტორანტებთან მათი კონფერენციებში ჩართვის მიზნით.
<b>შეფასება</b>
○
<ul style="list-style-type: none"> <li>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p><i>ამ კომპონენტში ექსპერტთა რეკომენდაცია ითვალისწინებდა (1) „სხვადასხვა კურსების განსხვავებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გაიმიჯნოს გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა; და (2) მოხდეს სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია;</i></p> <p>ამ კომპონენტის პირველი რეკომენდაცია შესრულებულია სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით გაიმიჯნა სწავლის მეთოდების აღწერა.</p> <p>რაც შეეხება მეორე რეკომენდაცია ,, მოხდეს სწავლის შედეგები აღწერის სტანდარტიზაცია ნაწილობრივ არის გათვალისწინებული. კერძოდ სასწავლო კურსებში „აკადემიური და სამეცნიერო</p>

კომუნიკაციის ტექნიკა“, „თემატური სემინარი“, „პროფესორის ასისტენტობა“, „თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“, „კვლევის მეთოდები ბიზნესში“, „ტრანსპორტის და მრეწველობის მენეჯმენტის პრობლემატიკა“ სწავლის შედეგებია ჩამოაყალიბებულია აქტიური ზმნების გამოყენებით და სტანდარტიზირებულია. ასევე სასწავლო კურსში“, სწავლის თანამედროვე მეთოდებში,

ხოლო სასწავლო კურსების „შედარებითი მენეჯმენტი“, „ბიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკა“, „რეგიონის მდგრადი განვითარება“, „კვლევა საერთაშორისო ფინანსებში“, „ინტელექტუალური და კრეატიული მართვა“, „ფინანსური ანგარიშგების აუდიტი“ სილაბუსებში სწავლის შედეგები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები, რაც ეწინააღმდეგება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს.

ამგვარად სასწავლო კურსების სილაბუსებში აღწერილი სწავლის შედეგები ნაწილობრივ არის სტანდარტიზირებული და საჭიროებს დახვეწას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია ბოლომდე იქნეს გათვალისწინებული რეკომენდაცია „მოხდეს სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია“;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- 

**შეფასება**

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კურსებზე დარეგისტრირებისას სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემის მეშვეობით, დოქტორანტს შეუძლია გაეცნოს სილაბუსებს და შეფასების ძირითად კომპონენტებსა და კრიტერიუმებს. სტუდენტი ფასდება წინასწარ განსაზღვრული პროცედურით, რომელიც მკაფიოა და შეესაბამება კანონმდებლობას. კერძოდ, შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და საბოლოო შეფასებას, რაც ეხმარება დოქტორანტს საკუთარი ცოდნისა და უნარების პერიოდულად შეფასებაში და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაში. გარდა ამისა, სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა განსაზღვრულია კომპონენტის სპეციფიკის, შინაარსის, მიზნის და ზოგ შემთხვევაში დოქტორანტის კვლევის საგნის მიხედვით და მოიცავს კომპონენტის შესაბამის შეფასების მეთოდებსა და მკაფიო კრიტერიუმებს. კვლევითი კომპონენტი ფასდება 100 ქულით, ერთიანი შეფასების ძირითადი წესის თანახმად. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემა დეტალურადაა წარმოდგენილი კურიკულუმსა და სილაბუსებში. შეფასება გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;

### რეკომენდაციები:

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○



## შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

-

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

ამ კომპონენტში ექსპერტების მიერ შეთვავებულია შემდეგი რეკომენდაცია „სტუდენტთა საერთაშორისო "ექსპოზიცია" პროგრამაში მეტი საერთაშორისო მეცნიერის და პედაგოგის მოწვევით;

დაწესებულებამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია. კერძოდ, უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია საერთაშორისო მეცნიერების მოწვევა. ამას გარდა, 2018-2019 და 2019-2020 წლებში ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტმა უმასპინძლა ზარლანდის ტექნიკისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორებს, რომლებმაც ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს აქტუალურ საკითხებზე ჩაატარეს საჯარო ლექციები. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა;
- სტუ-ს ვებ გვერდი: <https://gtu.ge/>

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- დაწესებულებამ გაამდიერა მუშაობა საერთაშორისო მეცნიერების და აკადემიური პერსონალის მოწვევის მიზნით. ამ მხრივ შემჩნევა პროგრესი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაწესებულებამ მოიწვია რამდენიმე საერთაშორისო მეცნიერი.

**შეფასება**

- - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

- არ შეფასდა

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- 

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- 

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 33 პირი, აქედან 4 მათგანი წარმოადგენს მოწვეულ სპეციალისტს, ხოლო 29 პროფესორი უნივერსიტეტთან აფილირებულია. შესაბამისად, პროგრამის კურსების აბსოლუტურ უმრავლესობას კითხულობს და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მათი პროგრამაში ჩართულობა შეესაბამება უსდ-ის შიდა რეგულაციებსა და კანონმდებლობას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება, რაც შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიური პერსონალი წლების მანძილზე კითხულობს ლექციებს შესაბამის კურსებში, გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო შრომები სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ გამოცემებში და მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას და ჩართულია სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ გაამლიერა მუშაობა საერთაშორისო მეცნიერების და აკადემიური პერსონალის მოწვევის მიზნით. ამ მხრივ შემჩნევა პროგრესი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაწესებულებამ მოიწვია რამდენიმე საერთაშორისო მეცნიერი.

##### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
- აკადემიური პერსონალის მიღების წესი

<ul style="list-style-type: none"> <li>○ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის დებულება</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> </li> </ul>

<b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</li> <li>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>არ შეფასდა</b></p>
<b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<b>4.3 მატერიალური რესურსი</b>
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
<b>არ შეფასდა</b>
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

○ არ შეფასდა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

**შემთხვევაში)**

○

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1 შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

2019 წლის აკრედიტაციის ოქმის რეკომენდაციების თანახმად, კურსზე გამოხმაურების კითხვარების შეგროვების სისტემატიზაციისა და იდენტიფიცირებულ საკითხებზე რეაგირების მოხდენის საჭიროება გამოიკვეთა, ამასთან პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების შედეგების შეკრების საჭიროებაზე გაკეთდა აქცენტი.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია, სადაც დეტალურადაა გაწერილი კვლევის ტექნიკური და შინაარსობრივი კომპონენტები. რეკომენდაციების გათვალისწინებით უსდ უზრუნველყოს შიდა ხარისხის შემდეგი სისტემის დანერგვას: სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგი



(სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში) და პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მაჩვენებლის ანალიზი, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შრომის ბაზრის კვლევა. კვლევის შედეგებით საბუთდება შიდა ხარისხის სისტემის ეფექტიანობა, ამასთან მიღებული მონაცემები იძლევა პროგრამის სრულყოფის შესაზღებლობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
- ხარისხის მართვის სამსახურის კვლევის შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- 

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება განხორციელდა მოქმედი სააკრედიტაციო სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პროგრამა შეფასებისათვის წარედგინა უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებს - აუდიტორიული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“ და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია. მიღებული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა უნივერსიტეტის მიერ პროგრამის შემუშავების პროცესში. აღნიშნულის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი ერთვის მონიტორინგის დოკუმენტაციას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია
- ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა
- ხარისხის მართვის სამსახურის კვლევის შედეგები

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- 

**შეფასება**

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

- არ შეფასდა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- 

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- 

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- 

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების	√			

ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				
--	--	--	--	--

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: ბიზნესის ადმინისტრირება, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 27

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით სიხარულიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნათია დაღელიშვილი

